**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის**

**სხდომის ოქმი**

**N11**

12.04.2018 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი *ოთახი 2-01*

მიმდინარე წლის 12 აპრილს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (*12-03180941-03, 04.04.2018*) (**მომხსენებელი - ლევან მიქავა,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“** ინფორმაცია (*12-031805975-03, 28.02.2018*) (**მომხსენებელი - ზაზა ცინაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

**ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.**

**მოისმინეს:**

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

**ლევან მიქავა-** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე სატენდერო ეკონომიების ხარჯზე, რის შემდეგაც მოძიებული იქნა 5, 338 ათასი ლარი, რომელიც უნდა გადანაწილდეს პრიორიტეტულ მიმართულებებზე. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პროგრამის შემცირების ფარგლებში მოძიებულია 3,240 ათასი ლარი, როგორც ცენტრალური ასევე გამგეობების მუხლიდან, შემცირდა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაცია 253,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში, პროექტით ცვლილებები შეეხო კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლების არსებულ ასიგნებებსაც, რომლებიც მცირდება 153,7 ათასი ლარით, მათ შორის: სპორტის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 080604)-132,6 ათასი ლარით, კერძოდ მცირდება კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი თანხები და წარმოდგენილია 5 742,10 ათასი ლარით.მცირდება კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონების (კოდი 0811) პროგრამაში 21,0 ათასი ლარით, მათ შორის გლდანის რაიონში(081101)-1,8 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში(081102)-2,8 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში(081103)-11,5 ათასი ლარით, ისნის რაიონში(081107)-4,1 ათასი ლარით და კრწანისის რაიონში(081109)-0,8 ათასი ლარით. აღნიშნული ეკონომიების შედეგად ძირითადი პრიორიტეტები გახლავთ სტიქიით დაზარალებული ორი ოჯახის დაკმაყოფილება 1,040 ათასი ლარით და ბაგა-ბაღების ვაუჩერის საკითხი 1,118 ათასი ლარი, ასევე 438 ათასი ლარით ბიუჯეტს ემატება ახალი პროგრამა ,,თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა" (კოდი 09 01), რომელიც მოიცავს უსაფრთხოების სამსახურის ნაწილს, რიყის პარკის ტერიტორიაზე ვიდეო კონტროლის სისტემის აღდგენას და სხვა პარკებსა თუ სკვერებში დამონტაჟებას, ასევე მოეწყობა აღნიშნული საკონტროლო სისტემის სამეთვალყურეო ცენტრი.

**აზრი გამოთქვეს:**

**გიორგი ჩაკვეტაძე-** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია დასკვნაში ასახავს გამგეობების ბიუჯეტის ნაწილში მიმდინარე ცვლილებებს, წარმოდგენილი პროექტით კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში ჯამში შემცირებულია 21,0 ათასი ლარით.

**ლევან მიქავა-** აღნიშნული ცვლილება გამგეობების ბიუჯეტის შემცირების ნაწილში გამოწვეულია სატენდერო ეკონომიებიდან გამომდინარე.

**შალვა ოგბაიძე-**დაინტერესდა მულტიფუნქციური კომპლექსების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებით და ლოკაციების განსაზღვრით, კერძოდ კი ავჭალის ტერიტორიაზე.

**გიორგი ჩაკვეტაძე-** მოგეხსენებათ, მუშაობა მიმდინარეობს მულტიფუნქციური კომპლექსების საპროექტო ტექნიკური დავალების დეტალებზე, რომელიც უნდა შეუთანხმდეს დარგის სპეციალისტებს და სპორტულ ფედერაციებს, აღნიშნულთან დაკავშირებით შედგება სამუშაო შეხვედრები კომისიის ფორმატშიც, ამ ეტაპზე კი განსაზღვრულია ორი ლოკაცია, ასევე მიმდინარეობს

მოლაპარაკება ესპანეთის წარმატებულ მოდელზე ბილბაოს მერიასთან, რის შესახებაც მოგახსენებთ ესპანეთში ვიზიტის ანგარიშის წარდგენისას.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :**

**,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა მომხრე- (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0) )

**კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** დადგენილების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" კომისიას წარუდგინა** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ზაზა ცინაძემ. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებულის პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების მაჩვენებლების შესახებ.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა** (კოდი 08.06) დაფინანსებულია 13,897.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებელის 14,338.9 ათასი ლარის 97%-ი), რაც გადანაწილებულია შემდეგ ქვეპროგრამებზე: **სპორტული ღონისძიებების** (კოდი 08.06.01) 2017 წლის გეგმა 3,6677.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,626.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია. პროგრამით საანგარიშო პერიოდში თბილისის 40 (ორმოცი) და საქართველოს ეროვნული 24 (ოცდაოთხი) სპორტული ფედერაცია დაფინანსდა, ასევე სპორტის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები. სულ ჩატარდა 248 (ორას ორმოცდარვა) სპორტული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 43000-მდე (ორმოცდასამიათასი) ბენეფიციარმა. **მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა** (კოდი 08.06.02) 2017 წლის გეგმა 2,235.1 ათასი ლარით განისაზღვრა, დაფინასდა 100%-ით. პროგრამით ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 345 (სამასორმოცდახუთ) სპორტულ დაწესებულებაში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებლებს, რომლებიც სპორტის 47 (ორმოცდაშვიდ) სახეობაში ავარჯიშებდნენ მოზარდებს. **სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქციის** (კოდი 08.06.03) 2017 წლის გეგმა წარმოდგენილია 364.1 ათასი ლარით, პროგრამა დაფინანსდა 361.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია. ათივე რაიონის 18 (თვრამეტი) სკვერში დამონტაჟდა გარე-გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობები, 27 (ოცდაშვიდ) ლოკაციაზე დამონტაჟდა ველოპარკინგები. **სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის** (კოდი 08.06.04) გეგმა 2017 წლის ბიუჯეტის შესრულებით წარმოდგენილია 6,761.7 ათასი ლარით, დაფინანსდა 6,377.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 94%-ია. ვაზისუბნის მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ დაფინანსდა რაგბის სტადიონის სამშენებლო სამუშაოები. ყოფილი სპორტული ცენტრი ,,ლილო"-ს ტერიტორიაზე აშენდა 500 კვ.მ. ტანვარჯიშის დარბაზი. ნაძალადევის კომპლექსის მიმდებარედ მოეწყო ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი, ორი საცურაო აუზი და ფიტნეს დარბაზი. ა(ა)იპ „ქ.

თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტულ ცენტრში“ განხორციელდა შენობის ნახევარსარდაფის 240 კვ.მ-ის რეაბილიტაცია. დაფინანსდა მუხიანის მე-4 მკრ.რ-ის მიმდებარედ რაგბის ახალი სპორტული მოედნის მშენებლობის დასრულების სამუშაოები. **წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების ქვეპროგრამის** (კოდი 08.06.05) 2017 წლის გეგმა ბიუჯეტის შესრულებით წარმოდგენილია 351.7 ათასი ლარით, დაფინანსდა 100%. წახალისდა 240 (ორასორმოცი) წარმატებული სპორტსმენი ბავშვი. **პარასპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის** (კოდი 08.06.06) 2017 წლის გეგმა შესრულებით წარმოდგენილია 948,8 ათასი ლ., დაფინანსდა 946.5 ათასი ლ., რაც გეგმის 99,8%-ია. ვითარდება პარასპორტის 14 (თოთხმეტი) სახეობა, რომელშიც ჩაბმულია 185 (ასოთხმოცდახუთი) პარასპორტსმენი.

**ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა** (კოდი 08.08), დაფინანსებულია 1,579.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებელის 1,597 ათასი ლარის 98.9%-ი), რაც გადანაწილებულია შემდეგ ქვეპროგრამებზე: **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის** (კოდი 08.08.01) 2017წ. ბიუჯეტის გეგმა წარმოდგენილი შესრულებით არის 924,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 911,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,5%-ია. დაფინანსდა 50-მდე პროექტი. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 80 000-მდე ბენეფიციარმა. 500-მდე ახალგაზრდამ გაიუმჯობესა სალაპარაკო ინგლისური ენის უნარ-ჩვევები. სტუდენტებისთვის მოეწყო ბანაკის ტიპის საზაფხულო სკოლა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაში ჩართული იყო 5000-მდე ახალგაზრდა. ხელი შეეწყო მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებას, შეიქმნა ახალი პორტალი (youth.municipal.gov.ge) პორტალის ფუნქციაა ახალგაზრდული ინიციატივების მართვა, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდებს შეუძლიათ ონლაინ სივრცეში გაერთიანდნენ საერთო იდეების გარშემო, დაგეგმონ მათთვის საინტერესო აქტივობები, შესთავაზონ თანატოლებს და მათი შეფასებების საფუძველზე განახორციელონ თბილისის მერიის მხარდაჭერით. **თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების** (კოდი 08.08.02) დაფინანსების 2017 წ. გეგმა წარმოდგენილია 672.9 ათასი ლარი, დაფინანსებულია 668,2 ათასი ლ. რაც გეგმის 99%-ია. ამ გაერთიანებას ჰყავს 5000-მდე ბენეფიციარი, აქედან 200-მდე ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრს. ახალგაზრდები იღებენ ხარისხიან ცოდნას და იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს. ხელი ეწყობა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას. უცხოელი ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით, მიღწეულია შეთანხმებები და დადებულია მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა პროექტები.

**პროგრამა *„კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში“,*** (კოდი 08.11) დაფინანსებულია 967,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლები 1,040.1 ათასი ლარის 93%-ია).

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მომხსენებელმა კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ დადებითად შეაფასა ინფორმაცია *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ* (№12031805975-03,28.02.2017წ.), ცნობად მიიღო და გადაწყვიტა საკითხის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

კომისიამ ასევე განიხილა შალვა ოგბაიძის შუამდგომლობა (#03-031809577,5.04.2018), აღნიშნული ეხება სპორტსმენ ამირან აბუაშვილს, რომელსაც ესაჭიროება სარეაბილიტაციოდ საზღვარგარეთ მკურნალობა და ითხოვს ფრენის ხარჯის დაფინანსებას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ აღნიშნული საკითხი ცნობად მიიღო, მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე